ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №01

2016 წლის 18 იანვარი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხელშეკრულებების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.გ" ქვეპუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 12 იანვრის N01/140 მომართვის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს სულხან ევგენიძეს მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს 2008 წლის 27 ივნისს ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის გაფორმებული ,,ქობულეთის წყალანირების პროექტი"-ს მხარდაჭერის ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, შ.პ.ს ,,ქობულეთის წყალი"-სა და ქობულეთის მუნიციპალიტეტს შორის 2010 წლის 1 დეკემბრის ,,ქვესასესხო და საგარანტიო ხელშეკრულება"-ში შესატანი ცვლილებების ხელშეკრულებებს.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (მ.ჟორდანია).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე